№221 2016 წლის 11 თებერვალი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გრანტის მიღების შესახებ დოკუმენტის პროექტის მოწონების თაობაზე

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა (NCDC) (შემდგომში - ცენტრი) და აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებს (CDC USA) შორის ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების საფუძველზე დაფინანსებული „საქართველოში ეპიდზედამხედველობის, ლაბორატორიული და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერება“ - საგრანტო პროექტი (თემებზე: ა)

მიკრონუტრიენტთა დეფიციტის ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება საქართველოში; ბ) C ჰეპატიტის რეკომბინანტული ფორმა RF1_2k/1b: ლაბორატორიული დიაგნოსტიკის სტანდარტის შემუშავება და მისი როლი C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის წარმატებაში).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული საგრანტო დოკუმენტით განსაზღვრული მომსახურებების შესყიდვა ცენტრმა განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის გზით.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საგრანტო დოკუმენტში შესაბამისი პირობების დაზუსტება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან საგრანტო დოკუმენტის მოქმედებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კორექტირება მის ხელმოწერამდე ან ხელმოწერის შემდეგ გადაწყდეს ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით, საქართველოს მთავრობასთან დამატებით შეთანხმების გარეშე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**